MES 2 22 0001342733

24/10/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.10.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:40 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **ლევან მოსახლიშვილი** - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

5. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი;
15. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ხათუნათოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	*სახელი, გვარი*	*საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება*	*სტატუსი*	*საკითხი*
1	თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ზაალ ქორთუა		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I

		სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი		
3	ლევან მაკარაძე	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ნინო მილაშვილი	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	I
5	ქეთევან ლატარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
6	დემნა ხელაია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	I
7	დავით გოდერძიშვილი	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	I
8	თენგიზ ყურაშვილი	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი	I
9	დავით წასიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I I
10	ნიკა გიგაური	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I I
11	გიორგი ტომარაძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I I
12	ირინე ბაქრაძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მიხარის მართვის მენეჯერი	I I
13	ბაკურ კვაშილავა	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლის დეკანი	I I
14	თორნიკე შარაშენიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;	I I
15	გიორგი კობერიძე	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	საერთაშორისო ურთიერთობების	I I

			საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი	
16	პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	რექტორის მოადგილე	I I I
17	ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ჯაფარიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	მაგისტრატურის ხელმძღვანელი	I I I
18	გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	მიმართულების ხელმძღვანელი	I I I
19	ნინო ისაკაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი	I I I
20	ჯიმი კეკელაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	სამოქალაქო სასწავლო განყოფილების უფროსი	I I I
21	თამარ საძაგლიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	იურიდიული სამმართველოს უფროსი	I I I
22	ვიცე-პოლკოვნიკი თეიმურაზ ნიკოლაიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი	I I I
23	სოფიო ფაჩულია	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი	I I I
24	თამარ რემიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემია	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი	I I I
25	თეიმურაზ ქორიძე	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	IV
26	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	IV
27	გიორგი გოგიაშვილი		პროფესორი	IV

		შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	
28	პოლიკარპე მონიავა	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	პროფესორი სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
29	ზაურ ლომთათიძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
30	ნესტან კეკელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	V, VI
31	მარინა ზარქუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	V, VI
32	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	V, VI
33	ნანა გულუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
34	ნინო გვაზავა	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VII
35	ვაჟა ფირცხალაიშვილი	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	პროგრამის განვითარების მრჩეველი	VII
36	ელენე მამუკელაშვილი	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	იზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	VII
37	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII , IX
38	ხათუნა მხეიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის	VIII , IX

			ხელმძღვანელის მოადგილე	
39	ლენა შატაკიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი	VIII , IX
40	ზურაბ გვიშიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	VIII , IX
41	ქეთევან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII , IX
42	მარინა ჯავახიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VIII , IX
43	თენგიზ ჯიშკარიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	VIII , IX
44	დავით გორგიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	„მშენებლობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.	VIII , IX
45	თინათინ დათიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	VIII , IX
46	გელა ჯავახიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VIII , IX
47	გრიგოლ ხელიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VIII , IX
48	გია არაბიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VIII , IX
49	გიორგი გიგინეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	VIII , IX
50	ავთანდილ ასათიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	VIII , IX

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია,ელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	გიორგი მელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარინე რამიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I I
6	ნინო დოლიძე		I I I
7	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მაქსიმ იავიჩი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ირინა ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	
10	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
11	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
12	თეიმურაზ ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
13	ნინო დონდოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
14	გოჩა ჩავლეშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IX

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

საკითხების განხილვის დროს გამოიკვეთა დღის წესრიგის ცვლილების საფუძველი, კერძოდ, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის განხილვის დაწყების მომენტისთვის ექსპერტმა ვერ მოახერხა ჩართვა, შესაბამისად საბჭომ ჯერ განიხილა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში, შემდეგ კი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის ანგარიში.

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების მიღწევას)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841 ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	308
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2100, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქუჩა N14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი მოსაზრებები

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს. მან აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა ადგილზე, მათ დაათვალიერეს ყველაფერი და ინტერვიუირების პროცესმაც ჩაიარა ძალიან კარგად. მათ აქვთ რამდენიმე რეკომენდაცია, განსაკუთერებით ის გამოყოფს მატერიალური ბაზის პრობლემას, მისი თქმით, არსებული მატერიალური ბაზა დიდ სირთულეს შექმნის სპეციალისტის მომზადებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები .
დაწესებულების რექტორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ ვეტერინარიის მიმართულების დარგის პროფესიის მხარდაჭერა საჩქარო და აქტუალურია, რომელიც არ უკავშირდება მხოლოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის სტრატეგიას, არამედ უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიასაც. მისი თქმით, ის რომ არსებობს გამოწვევა დარგის სპეცილისტებმა ეს ძალიან კარგად იციან მითუმეტეს მაშინ როცა არსებობს არა მარტო მათი უნივერსიტეტის ბაზრის კვლევა რეგიონის მასშტაბით, არამედ არსებობს უფრო გლობალური დიდი კვლევები, რომელიც ადასტურებს და მიუთითებს ასაკობრივ ზღვარზე. უნივერსიტეტს აქვს მონაცემი, რომ ცხრა სამუშაო ადგილი მოდის ერთ სპეციალისტზე და ამ სპეციალისტის ასაკობრივი ზღვარიც ძალიან მაღალია. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული მიმართულების მხარდაჭერა განსაკუთრებით ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მან აღნიშნა, რომ მათი უნივერსიტეტი სამეგრელო-ზემო სვანეთში არის ერთადერთი. უნივერსიტეტის მისიაა რეგიონში ყველა გამოწვევას უპასუხოს ხარისხიანად. ასევე მათი ძლიერი მხარეა, ის რომ ეს უნივერსიტეტი მდებარეობს ოკუპირებული ტერიტორიის დეფაქტო საზღვართან, რაც მის პოლიტიკურ ნიშანს ასევე მაღლა სწევს და რა თქმა უნდა აქ მათი მისია ორჯერ უფრო მნიშვნელოვანია ყველა პროგრამის მხარდაჭერის თვალსაზრისით. მისი თქმით აღნიშნული პროგრამის ძლიერი მხარე არის პერსონალი, პროგრამის განმახორციელებლები, შემქმნელები და ხელმძღვანელები ესენი გახლავთ ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან დღეს ამ დარგის სტანდარტების მახასიათებლებს და უჭერენ მხარს ყველა დონეზე ამ პროფესიის სპეციალობის განვითარებას და გაძლიერებას. მან აღნიშნა, რომ ბოლო დღეებიის განმავლობაში მას ჰქონდა კომუნიკაცია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალათან და განსაკუთრებით ამაყია იმ ფაქტით, რომ ისინი ყველა საკითხს, პროგრამის ყველა დეტალს აყალიბებენ კვალიფიციურად. მან ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობის საკითხს, მისი თქმით, მათ წარმოადგინეს ყველა ოქმი, რომლითაც მტკიცდება ის, თუ როგორ ხდებოდა ჩართულობა და პროგრამის შემუშავება, ეს არის დაახლოებით ერთწლიანი პროცედურა. ჩართულობა იყო უმაღლესი, პროგრამის განხილვა ხდებოდა ეტაპობრივად პროგრამის შედგენაში ჩართული იყო სამინისტროდან დაწყებული აგრო მიმართულების დარგში მოღვაწე ყველა პრაქტიკოსი, დამსაქმებელი. ამიტომ, მისი თქმით, ჩართულობის ნაწილში დაწესებულება ვერ დაეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას. მატერიალურ

ბაზასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ, კარგი იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაესახელებინა საქართველოში არსებული ნებისმიერი უნივერსიტეტი, სადაც პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება არა სიმულაციურ, არამედ რეალურ გარემოში მეცხოველეობის ფერმაში სხვადასხვა სახის 30 ცხოველით. მათ აქვთ, როგორც სახელოსნო სხვადასხვა ჯიშის ფუტკრისთვის, ასევე, 20 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა გაშენებული თავისი 6 სხვადასხვა აგრო სპეციალობით. ასევე მათ აქვთ 4 ლაბორატორია უნივერსიტეტში, როლებიც შეიძლება დღეს სრულად არ პასუხობს ვეტერინარიის პროგრამას, მაგრამ უნივერსიტეტმა დაიწყო ამაზე მუშაობა და 2-3 წელიწადში თავისუფლად უპასუხებს პრაქტიკულ კომპონენტს. მათ აფილირების ხელშეკრულება გააფორმეს აგრო სახლთან და იურიდიულად ეს არის დაახლოებით სამ მილიონიანი ლაბორატორია. აქ არის წარმოდგენილი ქირურგიული, ფარმაციული, ლაბორატორიული ბლოკები და, ასევე, ნიადაგის მიკრო ლაბორატორია, პლიუს არსებობს თეორიული სივრცეები თეორიული კომპონენტისთვის. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო პროექტში Erasmus+ გავიდა მათ პროექტები, სადაც სამი უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, ახალციხის და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტები, სამივე ბალტიისპირეთის გამოცდილებას გაიზიარებენ. ასევე, მისი თქმით, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანადაფინანსებით მათ მიიღეს 85 000-იანი ღირებულების რენდგენის აპარატი. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ხარისხის ნაწილში გაცემულ რეკომენდაციაზე, რომლის შეფასების დაწევა განაპირობა იმან, რომ ვებ - გვერდზე განთავსებული არ იყო განახლებული ინფორმაცია, მასალები და კვლევები. როგორც მან აღნიშნა, თუ კი მათ ვიზიტის დროს წარმოადგინეს ხარისხთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტი და ყველა სტანდარტი დაცული იყო ხარისხში რატომ მოხდა, რომ მე - 5 სტანდარტი მთლიანად შეფასდა, რომგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე მან აღნიშნა, რომ ექსპერტების თქმით გადაფარვა ხდებოდა მხოლოდ ორ საგანში, რაც, მისი თქმით, არ იყო იმის საფუძველი, რომ მთლიანი სტანდარტის შეფასება დაწეულიყო, ხოლო ის თუ შინაარსობრივად ნამდვილად არის თუ არა გადაფარვა ამაზე პროგრამის ხელმძღვანელი უფრო დეტალურად ისაუბრებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მე - 3 მიზანი ითვალისწინებს მოსახლეობის დაცვას ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებებისაგან, ხოლო მე-4 მიზანი ეხება უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების მიზნით, საკლავი ცხოველების დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ ვეტერინალურ შემოწმებას. მისი თქმით, ამ ორი მიზნის ერთ სივრცეში მოთავსება ყოვლად დაუშვებელია. მესამე მიზანი გამომდინარეობს ინფექციური სწავლების პათოლოგიიდან, მე-4 მიზანი ეხება ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობას, სადაც პროგრამაში ცაკლე არის გამოყოფილი 15 კრედიტი, ეს ის საგნებია, რომლებიც მთლიანობაში მხოლოდ ცხოველური სურსათის უვნებლობას ეხება, მას ემატება მიკრობიოლოგია, ვირუსიოლოგიის მიმართულება ანუ სურსათის მიკრობული დაბინძურების საკითხები და ექსპერტთა მოსაზრება, რომ ესენი გაერთიანდეს არის შეუძლებელი. როგორც მან აღნიშნა, ექსპერტებს, ასევე, მითითება აქვთ მე-7 მიზანზე, რომ ეს მიზანი შეიძლებოდა უფრო შემცირებულიყო. ექსპერტების მიერ შემოთავაზებული პროგრამის მე-7 მიზნის ფორმულირება „იცოდეს ცხოველთა ოპტიმალური მოვლა-შენახვის და სრულფასოვანი კვების თავისებურებები“, სრულყოფილად არ მოიცავს იმ შინაარს, რაც ჩვენს მიერ პროგრამის მე-7 მიზანშია წარმოდგენილი, კერძოდ იგნორირებულია ცხოველების მოშენებისა (მომშენებლობაგენეტიკის საკითხები) და პროდუქციის წარმოების სისტემები, რომელთა როლი ჯანმრთელი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდაში განსაკუთრებულია, რაც მთლიანობაში მოვლა-შენახვისა და ცხოველის სრულფასოვან კვებასთან ერთად უზრუნველყოფენ ცხოველების კეთილდღეობასა და დაცვას. მე-7 მიზნის საკითხების სწავლება პროგრამაში სწავლების ცალკე ჩარჩოს „ცხოველების მომშენებლობის“ სახითაა წარმოდგენილი 19 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგებელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტისათვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შემოთავაზებული აქვს სამი პირობა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს კომპონენტის შეფასება, კერძოდ:

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

პროგრამის სწავლის შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბაზო ვეტერინარული განათლების, პრეკლინიკური და კლინიკური საგნები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადში წარმოდგენილია პრაქტიკული ან ლაბორატორიული კომპონენტით. მაგალითად, პრეკლინიკური 13 სასწავლო კურსიდან 7, ანუ 59% შეიცავს პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას, ხოლო კლინიკური 25 სასწავლო კურსიდან 21, ანუ 84% შეიცავს პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ სპეციალობა ვეტერინარიის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობები სრულ შესაძლებლობას იძლევა სასწავლო კურსებით და მთლიანობაში პროგრამით დასახული სწავლის შედეგების, პრაქტიკული ლაბორატორიული უნარ-ჩვევების მიღწევისა და სადიაგნოსტიკო უნარ-ჩვევების გამომუშავების.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ხათუნდა თოდაძე, მიესალმა დასმწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა რომ დეტალურად გაეცნო დოკუმენტაციას, მაგრამ რამდენიმე შეკითხვა მაინც დარჩა პასუხგაუცემელი. მისი თქმით, დღევანდელ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა დაცვის ეთიკურ საკითხებს და ამ მიმართულებით უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. ეს ეხება ცხოველებზე განხორციელებულ კვლევებს, სასწავლო პროგრამებს და ა.შ. მისი თქმით, სტუდენტი ქვეკლინიკურ ცხოველებზე ზედამხედველობით თუ პედაგოგთან ერთად დაიწყებს გარკვეულ პრაქტიკულ სამუშაოს მას უნდა ჰქონდეს გარკვეული უნარ - ჩვევები გამომუშავებული სიმულატორებზე. შესაბამისად, მას აინტერესებს ამ თვალსაზრისით რა კონკრეტული გეგმა არსებობს, როგორ აპირებს დაწესებულება ამ ტიპის ლაბორატორიის აღჭურვას, რომელიც ნამდვილად ძვირადღირებული სიამოვნებაა და არც თუ ისე მარტივია ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის. მეორე შეკითხვა ეხება შეფასებას. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ შეფასდეს პრაქტიკული კლინიკური კომპონენტები, ამ თვალსაზრისითაც კი ძალიან მნიშვნელოვანია სიმულატორებისა და მულაჟების არსებობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შეფასების კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია კლინიკურ დისციპლინებში, განსაკუთრებით იქ სადაც შემოტანილია პრაქტიკული გამოცდების საკითხები და ყველა შემთახევევაში შეფასების კომპონენტები უკავშირდება, რა თქმა უნდა, შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას და ა.შ. მისი თქმით, დაწესებულებას, ამჟამად, აქვს მიკროსკოპული პრეპარატები, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებას გამოცდა ჩაატარონ ამ სტილში. თუმცა ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ მათ არ აქვთ სრულყოფილი აღჭურვილობა, მულაჟები, სიმულატორები და ა.შ. ეს არის ძალიან ძვირადღირებული სიამოვნება, თუმცა აუცილებელია სწავლებაში. დაწესებულება მზადაა სხვადასხვა პროექტში ჩართულობისთვის. როდესაც მატერიალულ-ტექნიკურ ბაზაზეა საუბარი აქ მარტო უნივერსიტეტის ბაზა არ მოიაზრება - აქ მოიაზრება ისსამეცნიერო კვლევითი და სხვა დაწესებულებები, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მათ შეუძლიათ იქ წარმართონ პრაქტიკული სამუშაოები.ვეტერინარიის დარგობრივ მახასიათებელში გაწერილია რა უნდა ისწავლებოდეს პროგრამის ფარგლებში, ასევე იქვეა

განსზღვრული, რომ უნივერსიტეტს უფლება აქვს თუ მისი ბაზა არ არის საკამარისი, შესაბამისი სასწავლო პროცესი განახორციელოს სხვა დაწესებულებაში გაფორმებული ხელშეკრულების, თუ მემორანდუმის საფუძველზე. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ქვეკლინიკურ საგნებში, როგორიც არის ანატომია და სხვა დაინერგოს პრაქტიკული გამოცდები. ამისთვის კი მათ აქვთ სრული მზაობა და კარგი გამოცდილება, რომელიც მედიკებისგან გაიზიარეს.

საბჭოს წევრმა ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენ სილაბუსში გამოვლინდა გადაფარვები და რამდენად შეუძლია ამას ზეგავლენა მოახდინოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობაზე. ასევე, მან აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტთა დასკვნაშია მოცემული ცხოველთა ბიოლოგიისა და მცენარეთა ბიოლოგიის სილაბუსის მიხედვით სტუდენტი ორჯერ სწავლობს მიკროსკოპთან მუშაობას. ის დაინტერესდა რამდენად აუცილებელია ორივე საგანში მიკროსკოპთან მუშაობის შესწავლა და რამდენად არის გათვალისწინებული პრერეკვიზიტის დონეზე აღნიშნული უნარების ფლობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როცა სტუდენტი ერთ საგანში სწავლობს მიკროსკოპთან მუშაობას, ნიშნავს, რომ მან ეს ცოდნა უკვე მიიღო და მეორე საგანში არ უნდა ისწავლებოდეს. მიკროსკოპი, როგორიც არ უნდა იყოს ის, მისი გამოყენებადობა დამყარებულია ერთ საერთო პრინციპებზე. სევე, მან აღნიშნა, რომ გადაფარვა ეხება ასევე იმას, რომ მცენარეთა ბიოლოგიაში შეისწავლება არა მხოლოდ მცენარეები, არამედ სოკოები, ბაქტერიები, არქეები და ცხოველური უჯრედები, რაც ცალკე სამეფოს წარმომადგენლებია და არ უნდა ისწავლებოდეს მცენარეთა ბიოლოგიის საგანში. მსგავსი ორგანიზმების შესწავლა არის სხვა, უფრო ზოგადი საგნის მასალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი მცენარეთა ბიოლოგიის საგანში სტუდენტებს კონსპექტების სახით მიეწოდებათ სოკოები, ბაქტერიები, არქეები და ცხოველური უჯრედები, ამ საკითხებს, როგორც ზოგადი მასალის მიმოხილვას შეიძლება მხოლოდ 10 წუთი ეთმობოდეს შემდეგ მთელი მეცადინეობა ეთმობა უკვე მცენარეთა ბიოლოგიას.

საბჭოს წევრმა ნათია ზედგინიძემ მე - 4 სტანდარტთან გაცემული რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გაზრდის საკითხს, აღნიშნა, რომ მას იშვიათად ეგულება ისეთი საგრანტო პროექტი, რომელიც ისეთი პროგრამების დაფინანსებას იწყებს, რომელიც ჯერ არ არსებობს, არ არის აკრედიტებული. შესაბამისად, ის დაინტერესდა ექსპერტებმა აღნიშული საკითხი, რატომ ჩათვალეს რეკომენდაციად. ის ასევე დაინტერესდა მე - 4 სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება პროგრამის განმახორციელებელი პირების სამომავლო პროფესიული განვითარების საკითხს, მისი თქმით, ექსპერტები ამბობენ, რომ პროგრამაში არსებობს 43 აკადემიური პერსონალი, 18 აფირილებული და ა.შ და მათი კვალიფიკაცია დასტურდება. ასევე კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ 88 სილაბუსიდან მხოლოდ 2 სილაბუსში აღმოჩნდა ის ხარვეზი, რასაც ექსპერტები ამბობენ და ყველა სხვა დანარჩენ საკითხში აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება და ა.შ., მაშინ რა განაპირობებს, რომ ეს ჩანაწერი იყოს როგორც რეკომენდაცია. საბჭოს წევრი, ნათია ზედგინიძე, ასევე, დაინტერესდა, იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გაანგარიშებას, კერძოდ, რა საფუძვლით გაიცა რეკომენდაცია, როდესაც პროგრამას ჯერ სტუდენტები არ ჰყავს, რომ ექსპერტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა განესაზღვრათ აკადემიური პერსონალის შეფარდების საკითხი სტუდენტების რაოდენობასთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ჩართულობასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძველი იყო ინტერვიუირების პროცესი. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტთან გაცემულ

რეკომენდაციებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი იყო ის, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის უმრავლესობა ჩართულია, როგორც თბილისში პროგრამის განხორციელებაში, ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტებში უკავიათ ადმინისტრაციული თანამდებობები.აქედან გამომდინარე ექსპერტების აზრით, მათი ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე შეიძლება რისკის ქვეშ დადგეს პროგრამის სტაბილურად განხორცილება.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ კითხვაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ, რასაკვირველია, პერსონალის კვალიფიკაციის საკითხი ეჭვქვეშ არ დგება, თუმცა როდესაც საუბარი გვქონდა და ინტერვიუირების დროს ვკითხეთ აკადემიურ პერსონალს უტარდებოდათ თუ არა ტრენინგები, მაგალითად სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, მათ შორის ოსკის და ოსპის გამოცდებზე, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით მათ ამ მიმართულებით არც ტრენინგი და არც რაიმე შეხვედრა არ ჩატარებიათ. რაც შეეხება ბიუჯეტს, ექსპერტის თქმით, პროგრამის ბიუჯეტი როგორც ასეთი ცალკე არ არის შედგენილი, ხოლო ფაკულტეტის ბიუჯეტში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა მკაფიოდ თუ რა ფინანსური რესურსი იქნებოდა განსაზღვრული ვეტერინარიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისთვის და ვინაიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს განვითარებას და დიდ ფინანსურ რესურსს, აქედან გამომდინარე გასცეს ექსპერტებმა ამ მიმართულებით რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, დაწესებულება ამბობს, რომ მათ აქვთ ხელშეკრულებები გაფორმებული პროვაიდერ ინსტიტუციებთან, რითაც ისინი უზრუნველყოფენ ლაბორატორიული სამუშაოების განხორციელებას სტუდენტებისთვის. ის დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებობს გარკვეული ინსტიტუციები, მაგრამ ეს არის კერძო ბიზნესი, რომლებსაც აქვთ თავისი ინტერესები და თავისი მიზნები, ისეთ კლინიკაში, სადაც რეალურ პირობებში ოპერაცია არის ჩასატარებელი, ქირურგი ვერ გარისკავს რომ ოპერაცის დროს თავზე ედგას 5 ან 10 ადამიანი, რომლებიც ოპერაციაში საეროდ არ მონაწილეობენ. ასევე არ არის დადგენილი ვინ აანაზღაურებს აქ დახარჯულ მასალებს. ყველანაირ პროცედურას აქვს თავისი ღირებულება. წარმოუდგენელია ვინმე დათანხმდეს სტუდენტის ძვირადღირებულ ცხოველთან მიშვებაზე და ოპერაციის გაკეთებაზე. ამიტომ უნდა არსებობდეს მულაჟები და სიმულაციები, რომ მსგავსი ეთიკური პრობლება არ წარმოეშვას ადამიანს.

საბჭო წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვა დასვა სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე, მისი თქმით განსახილველი პროგრამა არის რეგულირებადი და დარგობრივი მახასიათებლით ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი, მათ შორის ის რომელი სწავლის შედეგის განხორციელებას მინიმუმ რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ესაჭიროება. შესაბამისად, ის დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა რომ არსებობს მემორანდუმები და პრაქტიკების სხვაგან განხორციელების შესაძლებლობა, ექსპერტებმა რა რისკი დაინახეს სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა კომპონენტი თანხვედრაშია დარგობრივ მახასიათებელთან, მათ შორის პროგრამის სწავლის შედეგები. თუმცა პროგრამის განხორციელების პროცესში ექსპერტებმა დაინახეს გარკვეული გამოწვევევი, რომელთაგან ერთ-ერთი უკავშირდება მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, რამდენად სრულყოფილად შესაბამისია არსებული მატერიალური ბაზა პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისთვის იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სწავლის შედეგების მიღწევადობა. ასევე, ისინი დაინტერესდნენ რამდენად ხდება პრაქტიკული მეცადინეობების დროს

გამომუშავებული უნარ - ჩვევების შეფასება. ექსპერტები სწავლის შედეგების შეფასების დროს აფასებენ არამხოლოდ მის აღწერილობას, არამედ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენად მიღწევადია ის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ძალიან კარგად აცნობიერებს სრულყოფილი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის საჭიროებას, აქვს შესაბამისი გეგმა დასახული, ის პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს მას შემდეგ, როდესაც სრულყოფილად უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მოწყობას. პროგრამაში ჩართულები არიან საკმაოდ გამოცდილი და კომპეტენტური ლექტორები, რომლებიც მზად არიან კილომეტრები გამოაირონ, რადგან აცნობიერებენ მათ დარგში ამ პროგრამის აუცილებლობას და მნიშვნელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ხელმძღანელი და თანახელმძღვანელი, ის დაინტერესდა – მათგან რომელია აფილირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აკადემიური თანამდებობები უკავიათ, თუმცა აფილირებული არცერთია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უნივერსიტეტს ჰქონდა თუ არა აფილირებასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი 2023 წლამდე სამცხე - ჯავახეთის აფილირებული პროფესორები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აფილირება გულისხმობს იმას, რომ აფილირებული პროფესორის ძირითად საქმიანობა და აქტივობები დაკავშირებულია იმ დაწესებულებასთან, სადაც ის არის აფილირებული. ასევე, ყველა მისი ნაშრომი და მიღწევები ჩაეთვლება იმ უნივერსიტეტს. ამიტომ ის დაინტერესდა დაწესებულება როგორ უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა მათთანაც შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები სრულყოფილად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ ვეტერინარიის და მეცხოველეობის მიმართულებიდან აფილირებული პროფესორები, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები და ნაშრომები ამ მიმართულებით გამოქვეყნებული. ასევე, მან აღნიშნა, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისა და განათლების მეტი ინტეგრაცია და მისი მოსაზრებით ეს პროგრამა იქნება საუკეთესო გამოცდილება ამ მიმართულებით, ვინაიდან ის მემორანდუმები, რაც მათ აქვთ ჩხოროწყუსა და სენაკში, შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკული საქმიანობის რეალურ გარემოში წარმართვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის იყო იმ დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც შეიმუშავა ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებელი და მას შეუძლია თამამად თქვას პროგრამა თავისი სტრუქტურით და რესურსით თანხვედრაშია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. მან ასევე დაამატა, რომ ის გახლავთ საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. როგორც მან აღნიშნა, ყველამ კარგად იცის, თუ რა ხდება ქვეყანაში ვეტერინარიის მიმართულებით. დღეს ვეტერინარიის მიმართულების სპეციალისტების რაოდენობა არის დეფიციტში. არსებობს ისეთი რაიონები, სადაც საერთოდ არ არიან ვეტერინარები და ეძებენ.მან ასევე აღნიშნა, რომ ვეტერინარების საშუალო ასაკი 60 წელს გადასცილდა და ფაქტიურად კადრი აღარ არის. ეს კი დაკავშირებულია, იმასთან რომ ადრინდელ წლებში ვეტრინარიამ განიცადა რთული პერიოდი და ამიტომაც ფაქტიურად აღარ მომზადდა ის კადრი, რომელიც შეძლებდა დასაქმებას. ამავე

დროს ვეტერინარია, ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის დარგი. ეს არის მეოთხე უნივერსიტეტი, სადაცარის მცდელობა, რომ ვეტერინარიის პროგრამამ დაიწყოს ფუნქციონირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:37 სთ
დასრულების დრო: 16:14 სთ

აკრედიტაციის საბჭოსმიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მე - 2 სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მე - 5 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ***2025 წლის 31 დეკემბრამდე*** 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2025 წლის 31 დეკემბერამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა პროგრამის მიზნებისთვის საჭირო რესურსით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებით;

- რეკომენდირებულია, პრაქტიკული მეცადინეობები გახდეს უფრო შესაბამისი ადგილზე არსებულ სიტუაციასთან, იმ მიზნით, რომ მოხდეს სტუდენტების კონტაქტი განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან;
- რეკომენდირებულია, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ მატერიალურ ბაზასთან;
- რეკომენდირებულია დაინერგოს პრაქტიკული გამოცდები კლინიკურ საგნებში;
- რეკომენდირებულია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის ხელმძღვანელის აფილირების საკითხის გადაწყვეტა;
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, ინსტიტუციამ შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის (მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, პათანატომიის, ქირურგიული სამანიპულატორო ოთახი, მულაჟები, სიმულატორები, ანატომიის ატლასები, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხები, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატები, სტანდარტული პათანატომიური და ჰისტოლოგიური მიკროსკოპული პრეპარატები, ქირურგიული და გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.) განვითარების მიმართულებით;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი;
- რეკომენდირებულია პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
2. სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ახალგაზრდა პედაგოგების აღზრდაზე და მოზიდვაზე;
3. სასწავლო პროცესში ჩაერთოს უფრო მეტი პრაქტიკოსი ვეტექიმი და მეცნიერი.
4. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ვეტერინარული პროგრამების განმახორციელებელ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სასწავლებლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, რადგან ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა სუსტადაა წარმოდგენილი.
5. სასურველია, განხორციელებული გარე კოლეგიური შეფასებები (ადგილობრივი თუ საერთაშორისო კოლეგის მიერ განხორციელებული) ფოკუსირებული იყოს მეტად საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის შეფასებაზე, ვიდრე პროგრამის მახასიათებლების აღწერაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა გარე კოლეგიური შეფასების დროს შემფასებელთან პროცესთან დაკავშირებული მოლოდინების, შეფასების მიზნის მკაფიო კომუნიკაციით იქნება შესაძლებელი.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 04 თებერვლის N112107 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312- პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0105, ქ.თბილისი, ფანჯიკიძის N1/პეკინის ქუჩა N42ა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას დაევალა 7 რეკომენდაციის შესრულება და დაწესებულებამ შვიდივე რეკომენდაცია შეასრულა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას, რის შესასრულებლადაც მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომი სამიზნე ნიშნულები და აისახა სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასების ის კომპონენტები, რომელთა დაკვირვებითაც განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა და ამასთან განისაზღვრა სწავლის შედეგების განსაზღვრის პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების სწავლებას სავალდებულო სასწავლო კომპონენტში განსაზღვრას, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამას სავალდებულო სახით დაემატა „საერთაშორისო ეკონომიკის“ სასწავლო კურსი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში საერთაშორისო ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების

გაფართოებას. მესამე რეკომენდაციას ეხებოდა ინგლისური ენის სწავლების საკითხს, რის შესაბამისადაც, მოდიფიცირდა ინგლისური ენის სწავლების საკითხი მისი დონეების სემესტრული გადანაწილების კუთხით და ერთი კონკრეტული დონის სწავლებას ეთმობა ერთი სასწავლო წელი. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა დარგობრივი ინგლისურის გაძლიერების საკითხს, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სახით დაემატა სასწავლო კურსი „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციების დარგობრივი მიმართულებით განვითარებას. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა რიგ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების ფორმულირების საკითხებს, შედეგად, რიგ სასწავლო კურსის სილაბუსში მოდიფიცირდა სწავლის შედეგები და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, კიდევ უფრო ნათლად გაიმიჯნა სამ დონეზე (ცოდნა/გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და ბლუმის ტაქსონომიის პრინციპების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევადობასა და გაზომვას. მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის "ქართული მართლწერა" მოდიფიცირების საკითხს. მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და ნაცვლად "ქართული მართლწერის“ სასწავლო კურსისა, სტუდენტებისთვის სავალდებულო სახით მოხდა „აკადემიური წერის“ კურსის შეთავაზება. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსში „ევროკავშირის სამართალი“ ლიტერატურის განახლებას, რეკომენდაციის შესაბამისად, „ევროკავშირის სამართალს“ სასწავლო კურსში სავალდებულოდ შემდეგი ლიტერატურა დაემატა: - ალექსანდრე დევიძე, გიორგი მირიანაშვილი, ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, ტექსტები, მაგალითები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ხელშეკრულების მუხლები; თბილისი, 2019, gyz; რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ევროკავშირის სამართლის შესახებ უახლესი ცოდნის მიწოდებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს, თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს, ჰქონდათ თუ არა კიტხვები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25 სთ
დასრულების დრო: 16:36 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახელმწიფო რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 18 აგვისტოს N806151 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
8	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო/ 1400/ გორი/ ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა 16 რეკომენდაცია, რომელთაგან დაწესებულებამ მხოლოდ ორი რეკომენდაცია არ შეასრულა და სწორედ ამ ორ რეკომენდაციაზე გაამახვილა ყურადღება ექსპერტმა. არ შესრულებულა რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობდა პროგრამაში სტრატეგიული მენეჯმენტის გაძლიერების საკითხს, დაწესებულების არგუმენტაციით, კურსი „სტრატეგიული ლიდერობა“, რომელიც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსია, მოიცავს რეკომენდირებულ თემებს; ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტის თემატიკა ჩაშლილია „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულების“, ასევე „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოების“ და „სტრატეგიული კომუნიკაციის“ სასწავლო კურსებში. ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსში „მართვის ფსიქოლოგიაში“, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის იზიარებს დაწესებულების პოზიციას და არგუმენტაციას. ასევე არ შესრულებულა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა შიდა ხარისხის მონიტორინგის გაძლიერებას პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად, რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს განმარტება შიდა ხარისხის მონიტორინგის არსებული მექანიზმების შესახებ და ამ მექანიზმების ჩამონათვალი და აღწერა. თუმცა, ექსპერტთა შეფასება ეფუძნებოდა არა მხოლოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, არამედ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც გამოვლინდა აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს. მათ ყველა რეკომენდაცია შეასრულეს და ეთანხმებიან ექსპერტის მოსაზრებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაესვათ კითხვები არსებობის შემთხვევაში

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში წერია გაძლიერდეს საჯარო სექტორში სტრატეგიული მენეჯმენტის და სტრატეგიული ლიდერობის საკითხების სწავლება და საუბარია არა ზოგადად სტრატეგიულ მენეჯმენტზე, საბჭომ თავის დროზე ამ მიმართულებით რეკომენდაცია დაამატა, არა იმ მიზნით, რომ პროგრამაში გაჩენილიყო ცალკე სასწავლო კურსი, არამედ გააკეთა ჩანაწერი საჯარო სექტორში სტრატეგიულ მენეჯმენტზე. მისი თქმით, სტრატეგიული მენეჯმენტი ბიზნესში სხვანაირად არის, ხოლო საჯარო სექტორში სხვანაირად, ის დაინტერესდა მოიძებნება თუ არა მტკიცებულება, თუნდაც სხვადასხვა სილაბუსში იმასთან დაკავშირებით, რომ დადგინდეს საჯარო სექტორში სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები არის თუ არა დაფარული.

ექსპერტმა უპასუხა, რომ სასწავლო კურსში, სტრატეგიულ ლიდერობაში არის განხილული ქეისები, რომლებიც მოდის საჯარო სექტორიდან, ასევე საუბარია საჯარო სექტორის პოლიტიკებზე.

საბჭოს წევრი ნათია ზედგინიძე, ასევე, დაინტერესდა, არსებობდა თუ არა მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდებოდა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი მონიტორინგი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მას შეუძლია ნამდვილად დაადასტუროს, რომ ხარისხმა იმუშავა ყველა საკითხზე. ასევე, მისი თქმით, ზოგიერთი რეკომენდაცია დაწესებულებამ მაშინვე გამოასწორა, როდესაც მათგან შესაბამისი არგუმენტირებული პასუხი მიიღეს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ლიდერობისა და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები ფარავს თუ არა ყველა იმ სპეციფიკას, რომელთა ცოდნაც კურსდამთავრებულს დასჭირდება დასაქმების დროს.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ქეისები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნულ სასწავლო კურსში იძლევა ყველა საჭირო უნარის გამომუშავების შესაძლებლობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:57 სთ
დასრულების დრო: 17:08 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 20 ივლისის N728035 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
8	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
12	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძისგამზ. #25, თბილისი, საქართველო, 0179

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭომ 17 რეკომენდაცია გასცა, რომელთაგანაც დაწესებულებამ უმეტესი ნაწილი შეასრულა.უბრალოდ, წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე რამდენიმე რეკომენდაციაში გამოიკვეთა, რომ ისინი ნაწილობრივ ან მეტწილად შესრულებულია. მაგალითად მესამე რეკომენდაცია, ექსპერტის თქმით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე დანართის მიხედვით, რეკომენდაცია სრულად არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობს პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. წარმოდგენილ დანართში აქცენტი გაკეთებულია დისერტაციაზე, სასწავლო კურსზე „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ და სასწავლო კურსზე პროფესორის ასისტენტობა“. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში არ არის წარმოდგენილი ისეთი სავალდებულო სასწავლო კომპონენტები, როგორიცაა იურიდიული კვლევის მეთოდები, სადოქტორო სემინარი I და სადოქტორო სემინარი II. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია სასწავლო კურსებში განსაზღვრული შეფასების მეთოდების ცვლილებისაკენ. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან იკვეთება, რომ სასწავლო კურსებში მრავალფეროვანი შეფასების მეთოდი გამოიყენება, თუმცა, სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად, კვლავ იკვეთება ფაქტობრივი გარემოებები, რომ, მაგალითად, დასკვნითი გამოცდის ეტაპზე გამოიყენება დახურული კითხვები, მაგრამ წერილობით ნაშრომთან ერთად. ასევე, კვლავ გამოიყენება ზეპირი გამოკითხვა და თეორიული საკითხები დასკვნით გამოცდაზე. უნებრივია, სასწავლო კურსებში „პროფესორის ასისტენტობა“ და „სადოქტორო სემინარი“ მსგავსი გამოწვევა, მათი შინაარსობრივი და მიზნობრივი ფუნქციიდან გამომდინარე, არ არის სახეზე. დასკვნით გამოცდაზე კვლავ გაწერილია ტესტური კითხვები. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციაში მითითებული შესაფასებელი მეთოდები შეცვლილიყო კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე, მათი ნაწილი სრულად არ არის გაზიარებული სასწავლო კურსების სილაბუსებში. მაგრამ, მაგალითად, დახურული კითხვა წარმოდგენილია კომბინირებულად წერით ნაშრომთან ერთად, რაც იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება მე - 14 რეკომენდაციას, რომელიც ეხება პერსონალის წახალისებას, ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი მეთოთხმეტე რეკომენდაციის შინაარსი სპეციფიკურია, რამდენადაც ის მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობის პროცესში მხარდაჭერას. შესაბამისად, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ასეთი გაწერილი მექანიზმი ერთ ან სხვადასხვა შიდაორგანიზაციულ დოკუმენტში, დებულებასა თუ წესში. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიშში მოცემულია, რომ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი აცხადებს შიდა საგრანტო კონკურსს, თუმცა ამისი მტკიცებულება ანგარიშს არ ერთვის. ასევე, უსდ გამოსცემს რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალს, აფინანსებს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. უსდ მუდმივად აწვდის პერსონალს საგრანტო პროექტების

შესახებ ინფორმაციას, უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას. თუმცა, აღნიშნულის მტკიცებულებები, გარდა ჟურნალ „სპექტრის“ პუბლიკაციების ვებ მისამართისა, არ არის ანგარიშით წარმოდგენილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძვლით, მხოლოდ უსდ-ის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით, მეტწილად რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია ზოგადი ჩანაწერით არის წარმოდგენილი, რომ ფასდება აკადემიური/მოწვეული პერსონალი მათ მიერ გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომებით, კონფერენციებში მონაწილეობით და ა.შ., მაგრამ არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სასურველია, რომ დაყოფილი იყოს პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებად და თითოეული ჩაშლილი იყოს მეთოდოლოგიურად. სწორად კონსტრუირებული მექანიზმები მის პრაქტიკულ მართებულ გამოყენებას არსებითად გაამარტივებს. შესაბამისად, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შედეგებს აფასებენ ნამდვილად სადისერტაციო ნაშრომით, ვინაიდან სადოქტორო საფეხურის ძირითადი პროდუქტი არის სადისერტაციო ნაშრომი. მათ მიერ წარმოდგენილი კურუკულუმის რუკის მიხედვით, შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში, სადაც ხდება ამ შედეგების განმტკიცება ისინი ვერ შეაფასებენ სასწავლო კურსს, სადაც ხდება სწავლის შედეგების გაცნობა ან გაღრმავება. აქედან გამომდინარე სადოქტორო საფეხურზე სწავლის შედეგები ფასდება სადისერტაციო ნაშრომით, სადაც ხდება გარკვეული სწავლის შედეგების განმტკიცება, ასევე, ასისტენტობის და სწავლის მეთოდების სასწავლო კურსებში. დანარჩენი სასწავლო კურსებით ხდება სწავლის შედეგების გაცნობა და გაღრმავება. რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თანამედროვე მეთოდები, რომელიც ექსპერტმა დაასახელა შეიძლება არ გამოიყენება დასკვნით გამოცდაში, თუმცა მხოლოდ დასკვნითი გამოცდა არ არის შეფასების მეთოდი. შეფასების მეთოდი არის, ასევე, შუალედური გამოცდაც. პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ, მისი თქმით, მათი ჟურნალი გახდა რეფერირებადი, რომელიც განთავსებულია ღია ჟურნალების ბაზაში, სადაც მათი პერსონალისა და დოქტორანტების სტატიები იბეჭდება უფასოდ. ხარისხის შიდა მექანიზმებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „სამართლის“ სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის დროსაც დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მისი თქმით, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს ვერაფრით ვერ ჩადებს ხარისხის შიდა მექნანიზმებში, რადგან ეს არის ცალკე დოკუმენტი და ცაკლე დოკუმენტის საფუძველზე ხდება სხვადასხვა პროგრამის შედეგების შეფასება და გეგმის გაწერა, რაც შეეხება პერსონალს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკრედიტაციის დროს ხარისხის ფაილში განთავსებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ინსტრუმენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების ყველა კრიტერიუმი და ყველა ქულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, ირინე გველესიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში დაშვების წინაპირობებში არ არის განსაზღვრული ინგლისური ენის B2 დონის სერთიფიკატის ქონა. ის დაინტერესდა აღნიშნული ხომ არ იყო განპირობებული ტექნიკური ხარვეზით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო საფეხურისთვის განსაზღვრული აქვთ ცალკე დოკუმენტი, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს

სერთიფიკატების ჩამონათვალს და, ასევე, შესაბამის განსაზღვრულ ქულებსაც. აღნიშნული დოკუმენტი კი პროგრამებზე მიღების პერიოდში განთავსებულია ვებ - გვერდზე საჯაროდ, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ყველა დეტალის გაცნობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსთან „მეცნიერების მენეჯმენტი“ და, ასევე, სხვა სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თუკი მნიშვნელოვანია პროდუქტის შეფასება ვინაიდან შედეგი უფრო საინტერესოა, რატომ ხდება დასკვნითი გამოცდის შეფასება ტესტებით და ღია კითხვებით. იქნებ უფრო ვალიდური ყოფილიყო დასკვნით გამოცდაში შეფასებულიყო რაიმე პროექტი ან სამეცნიერო პუბლიკაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეიძლება დასკვნით გამოცდაში შეცვალონ შეფასების მეთოდები და ისინი ამაზე დაფიქრდებიან, თუმცა მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის მიმდინარეობისას მათ გამოყენებული აქვთ ისეთი შეფასების მეთოდები, რომლებიც სტუდენტს ეხმარება შესაბამისი უნარების გამომუშავებაში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:29სთ
დასრულების დრო: 17:34 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 20 ივლისის N726052 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 - ბიოლოგია

10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველ

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა 6 რეკომენდაცია. წარმოდგენილი ანგარიშით ირკვევა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ექვსივე რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრ ებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ მოსაზრებები .
საბჭოს წევრებს არ დაუფიქსირებიათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:55სთ
დასრულები სდრო: 18: 02 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი:. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 13 აგვისტოს N793029 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
8	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N26

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა 9 რეკომენდაცია, დაწესებულებამ ცხრავე შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზი ცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:04სთ
დასრულების დრო: 18: 07 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და კენჭისყრა:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 22 სექტემბრის N876116 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ, #82, თბილისი, 0612, საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ განსახილველ პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წელს, აკრედიტაციასთან ერთად დაწესებულებას დაევალა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა და, ასევე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში, დადგინდა რომ მათ ყველა რეკომენდაცია შეასრულეს. მოცემული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მათ გასცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსებში „ოპერაციათა მენეჯმენტი“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა საერთაშორისო სტანდარტებით (ITIL)“, „პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ პროექტის შეფასების სისტემაში ნათლად გაიწეროს, თუ როგორ მოხდება ინდივიდუალურად სტუდენტის შეფასება;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;
- პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნას, რომ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც იყოს აკადემიური/აფილირებული პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზი ცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე არსებობს 21 მემორანდუმი, ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულების მიზნით პრაქტიკის სემესტრის დაწყებამდე პრაქტიკის ობიექტებთან უკვე მოქმედი მემორამდუმების, საფუძველზე დამატებით გაფორმდება შესაბამისი შეთანხმებები, სადაც იქნება დაზუსტებული პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული გარემოებები: სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის ვადა და ა.შ. პროგრამის

მდგრადობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბტუ-ს აკადემიური საბჭო განიხილავს რეკომენდაციას და პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მოხდება აკადემიური თანამდებობის პირის განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:14 სთ
დასრულების დრო: 18:21 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვი არაუმეტეს 60 კალენდარული დღის მიცემის საკითხი ხარვეზების გამოსასწორებლად.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს დაევალოს „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს ხარვეზები.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- სასწავლო კურსებში „ოპერაციათა მენეჯმენტი“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა საერთაშორისო სტანდარტებით (ITIL)“, „პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ პროექტის შეფასების სისტემაში ნათლად გაიწეროს, თუ როგორ მოხდება ინდივიდუალურად სტუდენტის შეფასება;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;
- პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნას, რომ პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც იყოს აკადემიური/აფილირებული პერსონალი.

საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა

მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 18 ივნისის N595604 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732, მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა, საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის წარმოების დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. ასევე, ექსპერტებს დამატებითი სხვა რეკომენდაცია არ გაუციათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზი ცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადოლობა გადაუხადა ექსპერტს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:24 სთ
დასრულების დრო: 18:32 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეცხრე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 15 ივნისის № 574577 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტრიინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713 - ელექტრობა და ენერგია

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N77, ქ. თბილისი, 0160, საქართველო

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა, საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაციის შესრულების ფაქტი. ასევე, ექსპერტებს დამატებით არ გაუციათ რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზი ცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:35 სთ
დასრულების დრო: 18: 36 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის

პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:40 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით